



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავთისხევის ღომისის ეკლესია



კავთისხევის ღომისის ეკლესია (მარცხნივ - XIX ს., მარჯვნივ - ადრინდელი ფეოდალური ხანისა).

კავთისხევის ღომისის ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. თარიღდება ადრინდ. ფეოდ. ხანით. მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფ. კავთისხევის თხიზვალაანთ უბანში. ეკლესია დარბაზულია სამხრ-ის მინაშენით (8,8მ × 8,7 მ), ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით. ერთადერთი შესასვლელი სამხრ-ის კედელშია გაჭრილი და არქიტრავის ქვითაა გადახურული. ნახევარწრიული აფსიდის ღერძზე ვიწრო, თაღოვანი სარკმელია, ჩრდ-ით - ოთხკუთხა ნიში. სარკმლის ქვეშ მიდგმულია სატრაპეზო ქვა. დარბაზის სამხრ. კედელში

ძლიერ ვიწრო სარკმელია. ერთი სარკმელი დას. კედელშია. დარბაზი გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-ის საბჯენი თაღი ერთსაფეხურიან პილასტრებს ეყრდნობა. პილასტრებს პროფილირებული კაპიტელები აქვს. მოგვიანებით დარბაზის კედლები შეუღესავთ. სამხრ. მინაშენი, რ-ის ნახევარწრიულ აფსიდში ერთი სარკმელია, წინა მხრიდან გახსნილია ორი ნახევარწრიული თაღით, რ-ებიც შეერთების ადგილზე მრგვალ, მასიურ ბურჯს ეყრდნობა. ბურჯის კაპიტელი მარტივი ფორმისაა, კუთხეები გამოხედილი აქვს. ფასადის აღმ. ნაწილში ორი დიდი ქვის ლოდი თითქმის კედლის ნახევარს ავსებს. 2006-07 მიმდინარეობდა ძეგლის აღდგენითი სამუშაოები (არქიტ. ლ. მენთეშაშვილი).

ლიტ.: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, [ტ.] 5, თბ., 1990.

თ. გერსამია